

ბატონებო და ქალბატონებო,

წარმოგიდგენთ 2019 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურით გათვალისწინებულია 136 სამტატო ერთეული. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 132, ვაკანსიაა 4, შტატგარეშე მოსამსახურედ აყვანილია 12 თანამშრომელი.

მერიაში ფუნქციონირებს 9 სტრუქტურული ერთეული და 9 ა(ა)იპ-ი.

2019 წლის 31 დეკემბერს მერიაში გამოცხადდა რეორგანიზაცია.

ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახური

ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში სტრუქტურით გათვალისწინებულია 79 სამტატო ერთეული, დასაქმებულია 79.

2019 წელში წარმოშობილ ვაკანსიებზე ჩატარებულია 5 ღია კონკურსი, რომლის შედეგად დაინიშნა 7 საჯარო მოხელე.

საჯარო მოხელის ტრენინგი (გადამზადება) გაიარა ექვსმა საჯარო მოხელემ.

მერიაში 2019 წლის 31 დეკემბერს გამოცხადებული რეორგანიზაციის შედეგად სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში გაუქმდა კეთილმოწყობისა და ტრანსპორტის განყოფილება. ზედამხედველობის სამსახურში კი შეიქმნა არქიტექტურულ და სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება. ზედამხედველობის სამსახურში შემცირდა 4 სამტატო ერთეული, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში კი 1.

რეორგანიზაციის შედეგად მოხდა თანამშრომელთა ჰორიზონტალური გადაყვანა.

მერიაში შემოვიდა:

განცხადებები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, წერილები სამხარეო ადმინისტრაციისაგან, სამინისტროებიდან და საჯარო რეესტრიდან, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სამსახურებიდან, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროდან, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან და სამსახურებიდან, ასევე შემოვიდა სხვადასხვა საკითხთა გათვალისწინებით მოქალაქეთა წინადადებები, განცხადებები, საჩივრები, რომელთა უმრავლესობას გაეცა პასუხები. მინიმალურ რაოდენობაზე მიმდინარეობს მუშაობა. (მოხსენებითი ბარათი დაწვრილებითი ინფორმაციით, კონკრეტული მიმართულებების გათვალისწინებით, თან ერთვის).

მერიის შესაბამის სამსახურში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. 2019 წელს პერსონალური მონაცემების სხვისთვის გაცემის ფაქტი არ დაფიქსირებულა, საჯარო მოხელეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინარული სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2019 წლის 15 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერის N20 45 ბრძანებით და განისაზღვრა 3548598

ლარით. 2019 წლის განმავლობაში გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2019 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 10 202 764 ლარი. მათ შორის: საკუთარი სახსრებიდან შემოსულობები - 1364280 ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი - 279580 ლარი; საქართველოს მთავრობის N13 განკარგულებით 460 000 ლარი; N45 განკარგულებით 577 000 ლარი; N136 განკარგულებით 221 178 25 ლარი; N480 განკარგულებით 7315 ლარი; N506 განკარგულებით 6959 ლარი; N544 განკარგულებით 112575 ლარი; N557 განკარგულებით 101504 ლარი; N986 განკარგულებით 173 477 ლარი; N1401 განკარგულებით 70514 ლარი; N1409 განკარგულებით 69247 ლარი; N2367 განკარგულებით 102 321 ლარი; N2577 განკარგულებით 3830654 ლარი; N2712 განკარგულებით 649246 ლარი. 2018 წლის ნაშთი 180 267 ლარია.

2019 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 89 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 28, უარყოფითი შედეგით დასრულდა 2, შეწყდა 1. გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 53 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 4 904 244 ლარი.

გამარტივებული შესყიდვების წესით გაფორმდა 129 ხელშეკრულება.

გადაუდებელ აუცილებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 17 ხელშეკრულება ღირებულებით 1 391 578 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 8 ხელშეკრულება.

კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნებართვების საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 12 ხელშეკრულება ღირებულებით 137304 ლარი.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) გათვალისწინებით გაფორმდა 15 ხელშეკრულება ღირებულებით 561 264 ლარი.

საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია მერიის სამსახურების მიერ გაწეული სამუშაოს, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა სახის პროექტების შესახებ-მერიისა და მერის ოფიციალური ფეისბუქ გვერდების, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდის „vani.gov.ge“-ის, მწერალთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის გაზეთ „უქიმერიონის“ და ადგილობრივი გაზეთის „საჩინო“ საშუალებით. მუნიციპალიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ინტერნეტ საინფორმაციო სააგენტოებთან.

საზოგადოებას მიეწოდა ასევე 2019 წლის 10 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია.

მერის წარმომადგენელთა კოორდინაცია

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თითოეულ მაცხოვრებელამდე დაყვანას, რაშიც აქტიურად იკვეთება ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების მიზანმიმართული მუშაობა.

მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში შედგა მოსახლეობასთან შეხვედრები სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულების თანახმად ყველა დასახლებული სოფლისთვის გამოყოფილი თანხა 570000 ლარი გამოყენებული იქნება თითოეული სოფლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, მოსახლეობის გადაწყვეტილების შესაბამისად.

აგვისტო-სექტემბერში მოეწყო საჯარო შეხვედრები ყველა სოფელში, მაჟორიტარი დეპუტატის, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირებისა და წარმომადგენელთა მონაწილეობით. შედეგად რიგი გაჟღერებული პრობლემების გადაიჭრა.

ყურადსაღებია განყოფილებაში შემოსული სხვადასხვა სახის განცხადებები, განსაკუთრებით კი უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ, რომელთა დაოდენობა 2019 წელს 3750 იყო.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა კადრებთან მუშაობას.

საკრებულოსთან ურთიერთობის სფერო

გასულ საანგარიშო წელში საკრებულოს წარედგინა ანგარიშები, წერილები და დადგენილების პროექტები მტკიცებისათვის.

2019 წლის 27 თებერვალს საკრებულოს გადაეგზავნა ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად საკრებულოს წარედგინა 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტები შერჩევისათვის.

დამტკიცდა ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი.

საჭიროების შემთხვევაში, პერიოდულად მტკიცებისათვის მიეწოდებოდა საკრებულოს ვანის მუნიციპალიტეტის მერიისა და ზოგიერთი სამსახურის დებულებაში, ასევე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებებში ცვლილებების შეტანის საკითხი.

2019 წლის 5 აპრილს საკრებულოს, სხდომაზე განსახილველად ,გადაეგზავნა ვანის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში.

ანგარიშები 2019 წლის თითოეული კვარტლის მიხედვით ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტი საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა 13-ჯერ.

ინფორმაცია, ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და დახარჯული თანხების შესახებ, მუნიციპალიტეტს წარედგინებოდა კვარტალში ერთხელ.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N125 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7400,0 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 12887,0 ათასი ლარის, გადასახდელები 16628,2 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 3741,2 ათასი ლარის მოცულობით.

2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა 12887.0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 13155.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 102,1% -ს შეადგენს.

- ❖ მ.შ. გადასახადების გეგმა შეადგენდა 6681,1 ათას ლარს, საკასო შესრულებაა 6988,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის 104,6%, 306,2 ათასი ლარით მეტი გეგმასთან შედარებით.
- ❖ მ.შ. გრანტების გეგმა შეადგენდა 5632,0 ათას ლარს, საკასო შესრულებაა 5542,9 ათასი ლარი, წლიური გეგმის 98,4%.
- ❖ მ.შ. სხვა შემოსავლების გეგმა შეადგენდა 473,2 ათას ლარს, საკასო შესრულებაა 489,5 ათასი ლარი, წლიური გეგმის 103,4%, 16,3 ათასი ლარით მეტი გეგმასთან შედარებით.
- ❖ მ.შ. არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) გეგმა შეადგენდა 100,0 ათას ლარს, საკასო შესრულებაა 134,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 134,7%, 34,7 ათასი ლარით მეტი გეგმასთან შედარებით.

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, წლიური ასიგნების საბოლოო გეგმა განისაზღვრა 16628,2 ათასი ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 15572,1 ათასი ლარი, წლიური გეგმის 93,6%.

- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების (0100) დაფინანსებაზე წლიური გეგმით 2678,4 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულება შეადგენს 2668,3 ათას ლარს, გეგმის 99,6%.
- ❖ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალგების ხელშეწყობაზე (0200) (მერიის სამხედრო სამსახური) გეგმით გამოიყო 98,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებაა 95,7 ათასი ლარი, გეგმის 97,7%.
- ❖ ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის პრიორიტეტის ასიგნება (0300) განისაზღვრა 8439,4 ათასი ლარით, საკასო შესრულება შეადგენს 7856,6 ლარს, გეგმის 93,1%-ს.
- ❖ განათლების სფეროს (საკოლამდეელი აღზრდა, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაა, საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და მოსწავლეთა ტრანსპორტირება) (0400) დაფინანსებაზე გეგმით 2704,4 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულება შეადგენს 2300,9 ლარს, გეგმის 85,1%ს.
- ❖ კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით დახარჯულმა თანხამ 1586,9 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის, 1598,5 ათასი ლარის 99,3%.

- ❖ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების გეგმა დამტკიცდა 1109,5 ათასი ლარის მოცულობით. საკასო ხარჯი შეადგენს 1063,7 ათას ლარს, გეგმის 95,9%-ს.

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვა

2019 წელში უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცათ:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბს „სულორი-ვანს“ გრიგოლ ნიკოლეიშვილის სახელობის ცენტრალური სტადიონი;

ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ ქ. ვანში, თავისუფლების ქ. N65-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებული 47,6 კვმ ფართი;

სსიპ „საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს“ ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება;

ა(ა)იპ „სასკოლო დაწესებულებების გაერთიანებას“ ქ. ვანში თამარ მეფის ქ. N2-ში მდებარე უძრავი ქონება;

ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სკოლის შენობის პირველ სართულზე არსებული 179,49 კვმ ფართი;

ა(ა)იპ „სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს“ ქ. ვანში, თავისუფლების ქ. N63-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე განთავსებული 282,7 კვმ ფართი;

ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ მუქედის, შუამთის, მთისძირის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და ქ. ვანში ჭავჭავაძის ქ. N2-ში არსებული უძრავი ქონება, ასევე ძულუხის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლის პირველ სართულზე განთავსებული 158,9 კვმ ფართი;

სსიპ „საქართველოს ეროვნულ მუზეუმს“ ქ. ვანში ჭანტურიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 60 კვმ არასასოფო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

ფიზიკურ პირს იოსებ ჩაჩუას 10 წლის ვადით იჯარით გადაეცა ქ. ვანში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

სს“სილქნეტს“ 10 წლის ვადით იჯარით გადაეცა 3 ერთეული გარე განათების ბოძი.

2019 წელს მოწყობილ აუქციონზე პრივატიზებული იქნა მუნიციპალური საკუთრების 28 ობიექტი. (დანართი თან ერთვის).

2019 წელს მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან და იჯარით გაცემიდან მუნიციპალურ ბიუჯეტში ჩაირიცხა 134726. (ასოცდათოთხმეტი ათას შვიდას ოცდაექვსი).

ინფრასტრუქტურა და არქიტექტურა

ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის მოვლა-განახლებისათვის დაფინანსებულია 212 პროექტი, საერთო ღირებულებით 7 581 930 ლარი. /აქედან 3 პროექტი გადმოსულია 2018 წლიდან/. დაკონტრაქტებულია 212 პროექტი საერთო ღირებულებით 7 568 330 ლარით. დასრულებულია 211 პროექტი, 1 პროექტი-სტიქიის პრევენციის გარდამავალის სტატუსით შესასრულებლად გადავიდა 2020 წლის პროექტებში. პროექტები დაფინანსების და კატეგორიების მიხედვით დაჯგუფებულია 8 პროგრამად. კერძოდ:

1. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსდა 13 პროექტი (მ.შ. 4 საბავშვო ბაღი), სამუშაოთა განხორციელებისათვის გამოყოფილია 3 747 782 ლარი. დასრულებულია ყველა პროექტი.
2. საგანმანათლებლო სისტემის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 7 სკოლა. ძირითადად განხორციელდა სველი წერტილების მოწესრიგება, გათბობის სისტემების მოწყობა და შემოღობვა. საერთო ღირებულებით 460 000
3. სტიქიის პრევენციის პროგრამით სოფ. ტობანიერში დაფინანსდა ერთი პროექტი, ღირებულებით 91 999 ლარი. პროექტს მიენიჭა სტატუსი-გარდამავალი და განხორციელდება 2020 წელს.
4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოსახლეობაზე მინიჭებული უფლების მიხედვით მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეული პროექტების რიცხვი დაჯგუფდა და გაერთიანდა 134 პროექტში, დასრულებულია 134 პროექტი. პროგრამა დაფინანსდა 570 000 ლარით.
5. ჯანდაცვის პროგრამით დაფინანსებულია 5 საექიმო ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები. გამოყოფილია 112 575 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 102 495 ლარზე. პროექტები დასრულებულია.
6. ადგილობრივი სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსება განისაზღვრა 8 პროექტით, საერთო ღირებულებით 202 249 ლარი. პროექტები დასრულებულია.
7. 2018 წლიდან გადმოსულია 3 პროექტი საერთო ღირებულებით 2 217 825 ლარი. დასრულდა 3-ივე პროექტი.
8. სტიქიის შედეგად მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ გამოიყო 165 000 ლარი. დაფინანსდა 38 ერთეული პროექტი. სამუშაოების და სამშენებლო მასალების შეძენაზე გადარიცხულია 164 498 ლარი. 100%.

ზედამხედველობა

2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მონიტორინგი განხორციელდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე 212 მსხვილ და მცირე მასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტზე, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 7 568 330-მდე ლარს. მათ შორის: რეგიონალური ფონდი 7 272 427 ლარი, თანადაფინანსებით 295 903 ლარი.

აღნიშნულ საზედამხედველო პერიოდში ექვს მშენებელ კომპანიას ნაკისრი ვალდებულებისადმი არაპროფესიული თუ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო, ვადაზე ადრე შეუწყდათ ხელშეკრულება და მათ მიმართ გატარდა ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ფინანსური სანქციები. შ.პ.ს. „აკორსა“ (დირექტორი ჰ. ბრეგვაძე) და შ.პ.ს. „მონოლითს“ (დირექტორი დ.ძოდუაშვილი) აეკრძალათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტენდერებში მონაწილეობის მიღება.

ასევე მშენებლობის პერიოდში გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო ზოგიერთი კომპანიის მიმართ გატარებული იქნა საჯარიმო სანქციები. მათ მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დაეკისრათ, სხვადასხვა ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა.

2019 წელში ზემოთ ხსენებულ კომპანიებზე გატარებული საჯარიმო სანქციებიდან დარიცხულია 217 178 ლარი. (დანართი თან ერთვის).

უნებართვო მშენებლობისთვის დაჯარიმებული იქნა სამი პიროვნება (გიორგი ძაგნიძე, ოლეგ ბელთაძე და ბესო ჯოგლიძე). საჯარიმო თანხამ შეადგინა 5500 ლარი.

დასუფთავების მოსაკრებლის სახით ამოღებულია 28 530 ლარი.

სოციალური

ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დამტკიცებული იყო 16 სოციალური პროგრამა. ბიუჯეტით თავდაპირველად გამოყოფილი იყო 673 000 ლარი.

2019 წლის სექტემბერში, სოციალური პროგრამების ნაერთი ბიუჯეტი ჯერ გაიზარდა 703 500 ლარამდე, ხოლო დეკემბერში განხორციელდა ბიუჯეტის კორექტირება და ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების წლიური ბიუჯეტი განისაზღვრა 693 100 ლარის ოდენობით, რაც 2018 წელთან (627 300) შედარებით 10.5 % - ით მეტია. დამტკიცებული პროგრამებით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, წლის განმავლობაში, სამსახურის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის 44 ბრძანება.

საბიუჯეტო სახსრები, პროგრამების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 94 800 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემოდა პირველ შვილზე 300 ლარის, მეორე შვილზე 350 ლარის, მესამე შვილზე 400 ლარის, მეოთხე და ყოველ მომდევნო შვილზე 500 ლარის ოდენობით, ტყუპების შემთხვევაში, თითოეულ ბავშვზე 500 ლარი. თუ ახალშობილის ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა იყო 1-დან 70000-მდე, დახმარების ოდენობა იზრდებოდა 20 (ოცი) %-ით. დაკმაყოფილდა 261 ბენეფიციარი, თანხით 94 800 ლარი;

2. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 43 400 ლარი. ბენეფიციარებზე ყოველთვიური დახმარება გაიცემოდა 200 ლარის ოდენობით. პროგრამით ისარგებლა 21 ბენეფიციარმა, გახარჯულია 43 400 ლარი;
3. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 7 000 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება 1000 ლარის ოდენობით მიეცათ 100 და მეტი წლის პირებს. დაკმაყოფილდა 7 ბენეფიციარი, თანხით 7 000 ლარი;
4. მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 22 800 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცათ მარჩენალგარდაცვლილ პირებს, ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით, ხოლო 100 000 - მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებს, ერთ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 87 ბენეფიციარი, თანხით 22 750 ლარი; 5.
- მეორე მსოფლიო ომის, ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისა და 9 აპრილს დაზარალებულთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 5 900 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცათ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500 ლარის, ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებს 300 ლარის და 9 აპრილს დაზარალებულებს 500 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 17 ბენეფიციარი, თანხით 5 900 ლარი;
6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ბიუჯეტი - 33 000 ლარი. პროგრამით სარგებლობდა 42 ბენეფიციარი, გაიხარჯა 29 315.6 ლარი;
7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 23 100 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება, თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე 100 ლარის ოდენობით მიეცათ ოჯახებს, რომელთაც ჰყავდათ ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი. დაკმაყოფილდა 55 ბენეფიციარი, თანხით 23 100 ლარი;
8. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 39 400 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით მიეცათ მკვეთრად გამოხატულ შშმ პირებს. დაკმაყოფილდა 197 ბენეფიციარი, თანხით 39 400 ლარი;
9. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000 - მდე სარეიტინგო ქულა) ვეტერანთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 7 900 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით მიეცათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახებს, ხოლო 300 ლარის ოდენობით - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000 - მდე სარეიტინგო ქულა) ვეტერანებს. დაკმაყოფილდა 19 ბენეფიციარი, თანხით 7 900 ლარი;
10. სამედიცინო დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 300 900 ლარი. ფულადი დახმარება წლის განმავლობაში არაუმეტეს 750 ლარის ოდენობით მიეცათ: ა) მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული ქონდათ სარეიტინგო ქულა 1-დან 70 000 -ის ჩათვლით; ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთაც სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მინიჭებული ქონდათ სარეიტინგო ქულა 1-დან 100 000-ს ჩათვლით; გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს; დ) ონკოლოგიური (მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პაციენტებს; ე) გულის დაავადებათა მქონე პაციენტებს; ვ) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებულებს. დანარჩენი მოქალაქეებისთვის

დახმარების მოცულობა განისაზღვრებოდა პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 ლარისა. დაკმაყოფილდა 791 ბენეფიციარი, თანხით 300 895.33 ლარი;

11. სარიტუალო დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 35 500 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა: ა) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-100000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ბ) გარდაცვლილი ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; გ) გარდაცვლილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახის წევრზე ან დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; დ) გარდაცვლილი დევნილის ოჯახის წევრზე ან დაკრძალვის ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას 200 (ორასი) ლარის ოდენობით. იმ ოჯახებს, რომელთაც სარეიტინგო ქულა აქვთ 1-70000-ის ჩათვლით, დახმარება მიეცემათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო იმ ოჯახებს, რომელთაც სარეიტინგო ქულა აქვთ 70000-დან 100000-ის ჩათვლით, მიეცემათ 300 (სამასი) ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 71 ბენეფიციარი, თანხით 35 500 ლარი;

12. სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 16 000 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა დახმარების გაწევას 500 ლარის ოდენობით სტუდენტებზე, რომელთა ოჯახები იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-დან 100000-მდე სარეიტინგო ქულა და 1000 ლარის ოდენობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტისათვის, მიუხედავად სარეიტინგო ქულისა. დაკმაყოფილდა 32 ბენეფიციარი, თანხით 16 000 ლარი;

13. სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 23 100 ლარი. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე. დახმარების ოდენობა განსაზღვრული იყო ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 16 ბენეფიციარი, თანხით 23 100 ლარი;

14. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 36 700 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ), 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადად ფულადი დახმარების გაწევას, 500 ლარის ოდენობით და არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული, 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიურად დახმარების გაწევას, 200 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 59 ბენეფიციარი, თანხით 36 700 ლარი.

15. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებდა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა - მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას 200 ლარის ოდენობით. პროგრამის თავდაპირველი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 3 000 ლარი. ბენეფიციართა განცხადებების არშემოსვლის გამო, გამოყოფილი თანხები გადატანილ იქნა სხვა პროგრამებში.

16. უსახლკაროთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული უსახლკარო პირების/ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფას. უსახლკარო პირის სტატუსი მიენიჭა 5 პირს (2 ოჯახს). პროგრამის თავდაპირველი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 10 000 ლარის ოდენობით, გაიხარჯა 60 ლარი. სულ 2019 წელს დახმარება გაეწია 1684 ბენეფიციარს, თანხით 689 230.93 ლარი. საკასო შესრულება - 99.44 %.

2019 წელს 2018 წელთან შედარებით ამოქმედდა ორი ახალი - ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და უსახლკაროთა დახმარების პროგრამა.

მზრუნველობა მოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში სააღდგომოდ საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია 36 ბენეფიციარს, ხოლო საახალწლოდ - 42 პირს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის ერთი სტაციონარულ-პოლიკლინიკური გაერთიანება-ჯეოპოსპიტალსი - „ვანი“, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახური-112, შ.პ.ს. „ფარმაცია-ვანი“-დიაგნოსტიკური ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ცენტრი და 17 ამბულატორია (17 „სოფლის ექიმი“ და მათთან ერთად 18 „სოფლის ექიანი“).

აღნიშნულ დაწესებულებებში, ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მეშვეობით ხორციელდება შემდეგი სახელმწიფო პროგრამები:

- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელება;
- ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება;
- დაავადების კონტროლის პირველადი ღონისძიებები;
- დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება;
- სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომური ინფექციების პრევენცია;
- ადამიანებში ცოფის რისკის პრევენცია, ანტირაბიული დახმარების უზრუნველყოფა;
- ტუბერკულოზით დაავადების ახალი შემთხვევების კვლევა, დაავადებულებთან კონტაქტირებულთა მოძიება და მათი პრიფილაქტიკური გამოკვლევის ორგანიზება;
- ყოველწლიური უწყებრივი სტატისტიკური ანგარიშის წარმოება და წარდგენა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ ინდაცვის სამინისტროში.

ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი გრაფიკის შესაბამისად ატარებს მონიტორინგს აღნიშნულ დაწესებულებებში შესაბამისი პროგრამების განხორციელებაზე.

2019 წლის განმავლობაში ჩატარდა მონიტორინგი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 14 საჯარო სკოლასა და 11 სკოლამდელ დაწესებულებაში წყალმომარაგების სანიტარიისა და ჰიგიენის მდგომარეობის შესასწავლად.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციური დაავადების აფეთქების შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით მდგომარეობა მეტ-ნაკლებად მსვიდი იყო.

დაფიქსირებულია სხვადასხვა ინფექციური დაავადებების შემთხვევები. კერძოდ:

- სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეები - 140;
- ზსგ ინფექციები - 1813;
- სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა - 1173;
- ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია -368;
- ტუბერკულოზის 2 ახალი დადასტურებული შემთხვევა;
- ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი C- 17 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა;
- ჩუტყვავილა - 11'
- წითელა - 15 დადასტურებული შემთხვევა'
- შიგელოზი - 1;
- ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B-1 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა;
- აივ შიდსზე ტესტირებული -21;
- აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქცია - 2.

საანგარიშო პერიოდში ანტირაბიულ კაბინეტს დახმარებისათვის მიმართა 368 დაზარალებულმა. დაიხარჯა 1317 დოზა ანტირაბიული ვაქცინა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცრებით მოცვის მაჩვენებელმა შეადგინა:

1. ჰექსაქსიმი -98,6% ;
2. პოლიო - 4 (პოლიომიელიტი) -99,2% ;
3. პოლიო - 5 (პოლიომიელიტი) -99,7% ;
4. დყტ -4 (დიფტერია-ტეტანუსი-ყივანახველა) -95,8,2% ;
5. როტა I -82%;
6. როტა II -85,9%;
7. პნევმოკოკის I ვაქცინაქცია - 98,6,4%;
8. პნევმოკოკის II ვაქცინაცია -99,3,2 % ;
9. პნევმოკოკის III ვაქცინაცია 99,4,2 %;
10. დტ (5წ) (დიფტერია-ტეტანუსი) -99,7%;
11. წწყ (წითელა-წითურა-ყბაყურა) – 99,8%;
12. წწყ - 2- 100%;
13. ტდ (ტეტანუსი-დიფტერია 14 წლიანები)-76%;

წითელას ეპიდაფეთქების თავიდან ასაცილებლად აცრილია 367 მოსსსსსსსსსსსზარდი და მოზრდილი.

2019 წელს ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართული იყო 83 პაციენტი.

ინფექციური დაავადებების ყველა კერაში, საჭიროებიდან გამომდინარე, ჩატარდა ეპიდკვლევა.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ცხრამეტივე სამედიცინოდაწესებულებაში ჩატარდა გეგმიური მონიტორინგი იმუნიზაციისა და ეპიდზედამხედველობის პროგრამების განხორციელებაზე.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2019 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენდა 74000 (სამოცდაათოთხმეტი)ათას ლარს., რომელიც 9000 ლარით მეტია 2018 წელთან შედარებით.

ცენტრში დასაქმებულია 12 თანამშრომელი. სახელფასო ფონდი შეადგენს 64340 ლარს.9660 ლარი განსაზღვრულია საჭირო სამეურნეო და საოფისე ხარჯისათვის.

კულტურა

2019 წელში კულტურის, განათლების, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დაფინანსება შეადგენდა 101 500 ლარს, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისათვის გამოყენებული იყო 23 600 ლარი, ხოლო სპორტული ღონისძიებებისათვის 21 700 ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა მასშტაბის ღონისძიებები (სასკოლო კონკურსი ნიკო კეცხოველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად, ეთნოგრაფიული გუნდი „დუცხუნის“ საიუბილეო საღამო, „ვანის ეტალონი-2019“, ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი საღამო, ლადო სულაბერიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, „გალაკტიონობა“, „ტიციანობა“, 26 მაისის ღონისძიებები, სარვამართო შეხვედრა,სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები, „ვანელობა“ და ა. შ.). კანონის შესაბამისად, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდებოდა ღონისძიებათა დაფინანსება. წლის დასაწყისში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 4488,0 ლარი, რომლის საფუძველზე განხორციელდა სხვადასხვა პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების გადაყვანა მუნიციპალიტეტიდან ქვეყნის ტერიტორიაზე.

2019 წელს ვანის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენი გახდა ჭიდაობა-სამბოს გუნდისა და საქართველოს ჭაბუკ სუმოისტთა ნაკრების წევრი შალვა ვაშაყმაძე.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში გაიხსნა ნინო ხურციძის სახელობის ვანის საჭადრაკო კლუბის ხსოვნას მიეძღვნა დახურული ტურნირი, რომელშიც ცნობილი ქართველი და უცხოელი მოჭადრაკე ქალები მონაწილეობდნენ. ტურნირის გამარჯვებული გახდა ნ. ძაგნიძე.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ 7 მოქალაქეს საპატიო ვანელის წოდება მიანიჭა.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 380 ათას ლარს. წარმომადგენლობითი ხარჯი 5320 ლარი, მივლინებაზე გაწეული ხარჯი 661 ლარი, ტრანსპორტირებაზე 3517 ლარი, კომუნალური ხარჯი 9257,86 ლარი, სხვა დანარჩენი ხარჯი 3544,50 ლარი. (დაწვრილებითი ინფორმაციით მოხსენებითი ბარათი თან ერთვის).

ლ. გერსამიას სახელობის კულტურის ცენტრი საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, გახმოვანების აპარატურას, გაზიფიცირებას. ასევე სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებელი შუამთის კულტურის სახლში.

სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრში შემავალი 12 სტრუქტურული ერთეულის და ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ფუნქციონირებისათვის 2019 წელს გახარჯულია 23200 ლარი.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს ქ. ვანის გ. ბზვანელის სახელობის, შუამთისა და ზეინდრის სამუსიკო სკოლები. განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ხდება სხვადასხვა ღონისძიებათა ჩატარების ორგანიზება.

შუამთის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა ლადო სულაბერიძის საღამო, გამოიცა წიგნი „ცხად სიზმარია.“ 1000 ლარით დაფინანსდა მუსიკალური ფესტივალი „იმერეთის ხმა,“ ჩატარდა საახალწლო ღონისძიებები. სამივე სკოლაში 145 მოსწავლეს გადაეცა საახალწლო საჩუქრები (ღირებულებით 725 ლარი).

სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის დახარჯულია 2200 ლარი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ღონისძიებებისათვის დაიხარჯა 1500 ლარი. დაემატა ხატვის წრე, მომარაგდა შესაბამისი მასალით, სხვადასხვა წრეებისათვის შეძენილია 620 ლარის საქსოვ-საქარგი მასალა, დაფინანსდა ლიტერატურული წრის „პარნასის“ პროექტი „ბავშვები საქართველოს ერთიანობისათვის“ (800 ლარი). ცეკვის წრე „იმედი“ დაფინანსდა 200 ლარით.

ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის კვლევის ცენტრი წლის განმავლობაში დაფინანსებული იყო 3000 ლარით. აქედან 1400 ლარი მოხმარდა ჟურნალის „მატიანეს“ გამოცემას.

ვანის ცენტრალურ, შუამთისა და ზეინდრის ბიბლიოთეკების მუშაობის პროცესში იკვეთება დადებითი ტენდენციები, თუმცა კვლავ არის პრობლემური საკითხები, რომლებიც რეაგირებას საჭიროებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიბლიოთეკა განთავსდა ახალ გარემონტებულ შენობაში (დაიხარჯა 4500 ლარი), აღიჭურვა ახალი ინვენტარითა და ტექნიკით. შეძენილი იქნა 2300 ლარის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ასევე ბიბლიოთეკას ვაუჩერით გადაეცა წიგნები 1282,77 ლარის.

გამოიცა გ. ძიგვაშვილის ლექსების კრებული.

სახვითი მუზეუმისათვის შეძენილი იქნა რეზო ადამიას ნახატები 2000 ლარის ღირებულებით.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა ვ. კეკელიძის სახლ-მუზეუმში (შეძენილი იქნა ეზოს სკამები, მოეწყო სველი წერტილი, გაკეთდა ღობე, რესტავრაცია ჩაუტარდა შენობაში ბუხარს). ამ სამუშაოების შესასრულებლად დაიხარჯა 4200 ლარი.

საბავშვო ბაღები

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 700-მდე აღსაზრდელი. მუნიციპალიტეტის მერია მთლიანად აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს მათი მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

12 თვეში გაწეული ხარჯი 1338,0 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 99,9%-ია. (შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 1,024,84 ათას ლარს, მივლინების მუხლით 0,5 ათას ლარს. ოფისის ხარჯების საკასო შესრულება 134,347 ათასი ლარია, კვების ხარჯის - 167,27 ათასი ლარი, ტრანსპორტის ხარჯი - 2,84 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა - 8,2 ათასი ლარი.)

გაერთიანების დასაქმებულთა რიცხოვნობა 2019 წლის სამტატო ნუსხით 298 შეადგენს.

ტენდერი გამოცხადებული იყო 700 აღსაზრდელის კვებით უზრუნველყოფაზე. გაერთიანების მიერ კალორიისა და ნორმის მიხედვით წინასწარ შემუშავებული მენიუს ღირებულება, სამჯერადი კვებით, ერთ ბავშვზე დღეში შეადგენდა 1,61 ლარს, ხოლო თვეში 33,81 ლარს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართული იყო ყველა საბავშვო ბაღი და სასკოლო ასაკის აღსაზრდელები.

სამუშაო პროცესი, რომლის დაგეგმვაც ხდება სასწავლო წლის დასაწყისში, ემყარება თემატურ მიმართულებებს, სადაც კონკრეტული აქტივობებიცაა - თავისი ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, გაწერილია ზუსტი დრო და ფორმები.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა, როგორც თემატური პროექტები სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამისა და სახელმძღვანელოების მიხედვით, ასევე შემდეგი ღონისძიებები;

2019 წლის 3 მარტს დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საზეიმო ფორმატში აღინიშნა;

აპრილის თვე საკმაოდ დატვირთული იყო ღონისძიებების მხრივ. ყველა საბავშვო ბაღში აღინიშნა 14 აპრილი-„დედა ენის“ დღე;

22 აპრილი - „დედამიწის დღე“ და „აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული“ ;

2019 წლის მაისის თვეში ოცდაოთხივე საბავშვო ბაღში ჩატარდა შემაჯამებელი პროექტები და სასკოლო მზაობის ჯგუფების ზეიმები. 218 აღსაზრდელს ტრადიციულად გადაეცა ს/ზ გაერთიანების ადმინისტრაციისაგან ს/ბაღის დამამთავრებელი სერთიპიკატი და სამახსოვრო საჩუქარი;

26 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

2019 წლის 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ოცდაოთხივე ს/ბაღის ეზოში გაიმართა აღნიშნული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

2 ივნისს „ვანელობის“ დღესასწაულზე სტუმართა წინაშე წარსდგა ს/ბაღების აღსაზრდელები;

14 ივნისს ლ. გერსამიას სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა სასკოლო მზაობის აღსაზრდელთა მონაწილეობით დასკვნითი ღონისძიება - მიუზიკლი „ცოდნის გასაღები“.

2019-2020 სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში განახლდა 16 სექტემბერს. 21 ოქტომბრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით, ოცდაოთხივე საბავშვო ბაღში ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული საშემოდგომო ღონისძიება.

2019 წლის 27 დეკემბერს გაიმართა „საახალწლო მეჯლისი“, რომლის დასრულებისას ყველა (700) აღსაზრდელს გადაეცა ს/ ბალების ადმინისტრაციის მიერ საახალწლო საჩუქრები.

2019-2020 სასწავლო წლისათვის ვანის მუნიციპალიტეტის ს/ბალების გაერთიანებას დაემატა ძულუხისა და მიქელეფონის საბავშვო ბალები, რომელთა ფართი გამოყოფილი იქნა ამავე სოფლების საჯარო სკოლების შენობაში.

სრული რეაბილიტაცია ჩატარდა მთისძირის საბავშვო ბაღს, რომლის ღირებულებამ შეადგინა 229,229 ლარი, ხოლო ქალაქის N 2 საბავშვო ბაღი გადაყვანილი იქნა ახლადრეაბილიტირებულ ახალ შენობაში, პროექტის ღირებულებაა 208,277 ლარი.

აღნიშნული საბავშვო ბალები აღიჭურვა ახალი ინვენტარითა და სხვა საჭირო ნივთებით, რომლის საერთო ღირებულება 23194,8 ლარია.

სპორტი

სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 350000 ლარს. მიმდინარე წლის აპრილის თვეში მას გამოწეო ბავშვთა ფეხბურთი, რომლის დაფინანსება იყო 90 000 ლარი, აგვისტოს თვეში კი გამოეყო რაგბი დაფინანსებით 10 000 ლარით. საბოლოოდ გაერთიანების ბიუჯეტი 250 000 ლარი.

გარკვეული წარმატებებია მიღწეული ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში, მძლეოსნობასა და ჭადრაკში.

საფეხბურთო კლუბის „სულორი-ვანის“ დაფინანსება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეადგენდა 148279 ლარს. აქედან: სახელფასო ანაზღაურება იყო 132647 ლარი, ხოლო სხვა დანარჩენი ხარჯი კი შეადგენდა 15632 ლარს.

აღსანიშნავია ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების ასპარეზობა 2019 წლის ბავშვთა ტურნირებში. ერთმა გუნდმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი დასავლეთის ჩემპიონატზე. ასევე კატეგორიზაციის შედეგად მოპოვებული იქნა თანხა 5750 ლარი, რომლითაც შეიძინეს სპორტული ინვენტარი.

წარმატებებს მიაღწია „სულორი-ვანის“ გუნდმა, რიმელმაც პირველი ადგილი მოიპოვა რეგიონალურ ლიგაში და გადავიდა შემდეგ საფეხურზე (ლიგა 4). ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გუნდმა მიიღო 50000 ლარი ასევე მოიპოვა სტიმულირების თანხა 7200 ლარი, შემოწირულობებიდან ნაშთის სახით ანგარიშზე ერცხებოდა 7800 ლარი. სულ კლუბის „სულორი-ვანის“ დაფინანსება შეადგენდა 70750 ლარს. ფაქტიურად დახარჯულია 70359 ლარი (სამტატო ერთეულით გათვალისწინებული კადრების შრომითი ანაზღაურება იყო 10979 ლარი).

სარაგბო კლუბ „აიეტის“ 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენს 147000 ლარს.

კლუბმა მონაწილეობა მიიღო რეგიონალური მე-2 ლიგის 2018-2019 წლების ჩემპიონატში, სადაც დაიკავა მე-3 ადგილი.

2019 წლის ივნისიდან დაიწყო მზადება 2019-2020 წლების ჩემპიონატისთვის. ამ ეტაპისთვის კლუბი მეოთხე ადგილზეა.

კლუბში მოხდა რეორგანიზაცია, შესაბამისად სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებაშიც, საიდანაც თავისივე განსაზღვრული დაფინანსებით გამოეყო ჭაბუკთა „ბ“ ლიგა და ორი

ასაკობრივი საფესტივალო ჯგუფი. ჭაბუკთა „ბ“ ლიგა ჩართულია ჩემპიონატში დასავლეთ საქართველოს პირველობაზე.

8 გუნდს შორის „აიეტი“ მე-5 ადგილს იკავებს.

საფესტივალო ჯგუფებმა 10 საფესტივალო ღონისძიებაში წარმატებით იასპარეზეს.

უპირველესად გასაუმჯობესებელია ინფრასტრუქტურა. მოსაწესრიგებელია სველი წერტილები და გასახდლები, რაც სპორტსმენთა ჯანმრთელობის დაცვისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ტურიზმი

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 60000 ლარით,რაც მიზნობრივად იქნა გამოყენებული.

ტურიზმის ცენტრმა საანგარიშო პერიოდში პირველად მიიღო მონაწილეობა ისრაელის (თელავივი) ხმელთაშუა ზღვისა და ყაზახეთის (ალმაატა) საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში. იგი აქტიურადაა ჩართული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ყველა ხელშეწყობ ღონისძიებასა და ფესტივალში („ვანელობა“, „გალაკტიონობა“, საერთაშორისო მოჭადრაკის, მსოფლიო ჩემპიონის ნ. ხურციძის მემორიალის გახსნა), გარდა ამისა ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო „ქ. ქუთაისისა და იმერეთის ტურიზმის ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ღონისძიებაში-„იმერული ყველის ფესტივალი“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებულ „საერთაშორისო ღვინის ფესტივალში“, ქუთაისის მერიის მიერ ორგანიზებულ „ახალი ღვინის ფესტივალში“, ღამე მუზეუმში, ქ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმთან ერთად, გაფორმდა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი.

გასულ წელს მუნიციპალიტეტი მასპინძლობდა უცხოურ ინფო ტურებს: ბალტიისპირელ, ევროპელ (ესპანეთი, ჰოლანდია) და უკრაინელ ტურ-ოპერატორებს, რომელთა რეკომენდაციები სარეკლამო სტატიები, სიუჟეტები, რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ, პოპულარიზაციას უწევს ჩვენს მუნიციპალიტეტს.

ასევე შიდა ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით მასპინძლობა გაეწია ადგილობრივ ტურ-ოპერატორთა ჯგუფებს .

საანგარიშო პერიოდში ყურადღება გამახვილდა „ვანის აგრო და კულინარიული ტურიზმის კუთხით.

ვანის ტურიზმის ცენტრის მიერ შეიქმნა სოციალური გვერდები, სადაც სასურველი ინფორმაციის წვდომა ხდება სამ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული).

გასულ წელს გოგირდის გეიზერებისადმი მაღალი ინტერესისა და ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციისათვის სიუჟეტები მოამზადეს ტელევიზიებმა: „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი“, აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, Post TV, მეგა TV და აშ.

დამზადდა „დიხაშხოს გოგირდის გეიზერის“ სარეკლამო ბროშურა (ლოკალური რუკით) ქართულ და ინგლისურ ენაზე, ასევე დამზადდა ორი სახის საგზაო-საინფორმაციო აბრა.

გარდა ისტორიული, კულტურული, ბალნეოლოგიური ტურისტული შესაძლებლობებისა,აქ არის სერიოზული პოტენციალი სამთო/ექსტრემალური ტურიზმის

განვითარებისათვის. მოლაშქრე ტურისტები (ჰაიკერები) კარგად იცნობენ ვანის ალპურ მთას და ჯაჯის ტბას. ალპური ზონა საინტერესოა გასტრონომიული ტურიზმის მიმართულებითაც.

საინტერესო ლოკაციები აღმოაჩინა ტურიზმის ცენტრმა, როგორცაა: სოფ. მულუხი ჩანჩქერით „ღურღუმა“, სოფ. ზედაგორა ჩანჩქერით „მაშხები“, სოფ. დუცხუნი „დუცხუნის კანიონით“, სადაც სათანადო პირობების შექმნის შედეგად კანიონინგის განვითარება შესაძლებელია. ახალ ტურისტულ სეზონზე ძირითადი მიმართულება იქნება ალპური მთა და დასახელებული სოფლების ლოკაციები.

მნიშვნელოვანია გასტრონომიული ტურიზმის განვითარება. ფაქტია, არის დაინტერესება ვანელი მეწარმეებისადმი. თანამედროვე ტექნოლოგიებით, ყველა სტანდარტის დაცვით აწარმოებენ სხვადასხვა პროდუქციას. ცნობადები არიან ადგილობრივ ბაზარზე (ფერმერი ლ. ალანია, ი/მ „ზაალის მარანი“ და შ.პ.ს. „ფერეთა ჩაი, აჯიკა და ტყემალი“). ვანის ტურიზმის ცენტრი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს აგროტურიზმის განვითარებას.

ტურისტული პოტენციალის მზარდ განვითარებასთან ერთად დგება საკითხი საინფორმაციო ცენტრის გახსნის შესახებ.

აუცილებლობას წარმოადგენს და დღის წესრიგში დგას ტურისტული ლოკაციების ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება.

სამხედრო

სამხედრო სამსახურის მიერ საანგარიშო წელში განხორციელდა რეზერვისტთა აღრიცხვაზე აყვანა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ორ ეტაპად (საგაზაფხულო-საშემოდგომო) გაწვევა.

საგაზაფხულო გაწვევას დაექვემდებარა 159 წვევამდელი. გასაწვევი იყო 41. გაწვეული იქნა: შ.ს.ს. სამინისტროში 4 წვევამდელი, (გასაწვევი იყო 6), თავდაცვაში 16, (გასაწვევი 27), იუსტიციის სამინისტროში 6, (გასაწვევი 8).

საშემოდგომო გაწვევას დაექვემდებარა 197 წვევამდელი. გეგმა გრაფიკით კი გასაწვევი იყო 26. შ.ს.ს ჩარიცხულია 9, (გასაწვევი იყო 5), თავდაცვაში 11, (გასაწვევი იყო 15), იუსტიციაში 6, (გასაწვევი იყო 6).

რეზერვში აღრიცხვაზე დგას 4477 რეზერვისტი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლდა 43, საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა 24, სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 56 რეზერვისტი. შ.ს.ს 11 რეზერვისტი, სამხედრო აღრიცხვიდან კი მოიხსნა 21 რეზერვისტი.

კომუნალური

კომუნალური გაერთიანების 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 460 ათას ლარს, 455 ათასი ლარით დაფინანსებული იყო მუნიციპალური ბიუჯეტიდან, 5 ათასით საკუთარი შემოსავლებიდან. საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 460,8 ათასი ლარი. ტრანსპორტის ხაჯებმა შეადგინა 84,4 ათასი ლარი (მათ შორის: საწვავი 66,1 ლ, სათადარიგო ნაწილები 18,3 ლ, სამეურნეო ხარჯები 16,2,

ელექტრო საქონლის 20,6 ათასი ლარი (გარე განათება), საკომუნიკაციო ხარჯები 2,4 ათასი ლარი, უნიფორმა 1,3 ათასი ლარი). შრომის ანაზღაურებაზე კი გაიცა 331,9 ათასი ლარი.

წლის დასაწყისში დასაქმებული იყო 73 ადამიანი, ამჟამად 79-ია, რაც დასუფთავებითი სამუშაოების არიალის გაფართოებამ გამოიწვია. დღის წესრიგიდან ვერ მოიხსნება მომავალში მუშებისა და მეეზოვეების საშტატო ერთეულების ზრდა.

გაერთიანების სარგებლობაშია 3 ნაგავმზიდის სპეციალური მანქანა, 1 სატვირთო, ამწე კალათა, ასენიზაციის მანქანა და ექსკავატორი. საჭიროებას წარმოადგენს ავტოპარკის განახლება. დასმულია საკითხი 1 ერთეული ნაგავმზიდისა და ამწე კალათას შეძენის შესახებ.

ასევე მწყობრიდანაა გამოსული წინა წლებში შეძენილი ლითონის ურნები, რომლებიც აღდგენას არ ექვემდებარება. დეფიციტის შევსებაზე მერიამ უკვე იზრუნა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიიდან, გარდა უხუთის, საპრასიისა და გადიდისა. ურნებისა და ტექნიკის მიღების შემთხვევაში ეს პრობლემაც გადაწყდება.

სოფლის პროგრამებით დაფინანსდა გარე განათების მოწყობა. მისი ძირითადი ნაწილი (600-მდე) წარმოადგენს ე. წ. წერტილოვან ლამპიონებს. დაზიანების შემთხვევაში, მაღალი ფასების გამო მწიფდება მათი გამოცვლა-შეკეთება. აღნიშნული ფაქტი მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა იქნას გათვალისწინებული.

პრობლემად რჩება ასევე სამშენებლო და მცენარეული ნარჩენების გატანის საკითხი. ამ შემთხვევაში მოსახლეობის ინფორმირებულობასა და პასუხისმგებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გაუფრთხილებელი მოქმედება გამოიწვევს ნაგავმზიდების მწყობრიდან გამოსვლას. მიზანმიმართული მოქმედების შედეგად კი აღნიშნული ნარჩენებისაგან შესაძლებელია მაღალი ხარისხის სასუქი მივიღოთ. ამ მიმართულების მართვისათვის მომზადებულია სპეციალისტი, რომელმაც სათანადო ტრენინგები გაიარა.

კომუნალური გაერთიანება ქალაქსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში აქტიურად ახორციელებს, მასზე გადაცემული ექსკავატორის საშუალებით, სტიქიის შედეგად ჩახერგილი გზებისა და სანიაღვრე არხების გაწმენდას.

გაერთიანებას აქვს საინტერესო და მისაღები ინიციატივა- შესაბამისი კლიმატის პირობებში გ. ყიფიანის სახ. პარკის ჩრდილოეთი ფერდობის განაშენიანება წიწვოვანი მცენარეებით (კედარით, რომლის ნერგები თვით ამ პარკის ტერიტორიაზე აღმოცენებული). ასევე ქ. ვანის ცენტრში, საკათედრო ტაძრის ეზოში მდებარე პარკის შევსება ცაცხვის ჯიშის მცენარეებით.

დასვა წინადადება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მცენარეთა განაშენიანების პროცესის დაწყების შესახებ, რომელიც აუცილებლად მხარდასაჭერია.

აუდიტი

მერიაში შიდა აუდიტი მუშაობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. სამსახურის მიერ გამოვლენილია არსებული პრობლემები. ფინანსური კონტროლის შედეგად შესწავლილია საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე, ეფექტური და ეკონომიკური ხარჯვა.

სამოქმედო გეგმის შესაბამისად 2019 წელში განხორციელდა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წლის ხარჯების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

შესწავლილი იქნა: „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი;

ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების;

ა(ა)იპ ვანის სარაგბო კლუბის „აიეტის“;

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების“;

ა(ა) იპ ვანის ტურიზმის ცენტრის;

ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის ცენტრისა და

ა(ა) იპ ვანის კომუნალური გაერთიანების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

გაანალიზდა თითოეული ორგანიზაციის ძირითადი აუდიტორიული აღმოჩენები და ყველა მათგანზე გაიცა რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის სამსახურის განვითარების, ეფექტური ფუნქციონირებისა და შემდგომი საქმიანობის სრულყოფისათვის საჭიროა ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრა-სემინარების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და თანამშრომელთა გაცნობიერებას შიდა აუდიტის შესახებ.

2019 წლის სამხედრო სამსახურის მუშაობის შედეგები

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის ძირითადი ფუნქცია მოვალეობაა წვევამდელთა, რეზერვისტთა აღრიცხვაზე აყვანა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვევა, გაწვევა მიმდინარეობს ორ ეტაპად საგაზაფხულო და საშემოდგომო.

2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში აღრიცხვაზე იდგა 1137 წვევამდელი. სამხედრო გადავადებით ისარგებლა 155 წვევამდელმა.

საგაზაფხულო გაწვევას დაექვემდებარა 159 წვევამდელი. გეგმა-გრაფიკით გასაწვევი იყო 41 წვევამდელი, შ.ს.ს 6 წვევამდელი - გაწვეული იქნა 4 წვევამდელი. თავდაცვაში 27 წვევამდელი- გაწვეული იქნა 16 წვევამდელი. იუსტიციის სამინისტროში 8 წვევამდელი- გაწვეული იქნა 6 წვევამდელი.

სამხედრო სამსახურში იანვრიდან აპრილის ჩათვლით მიმდინარეობს 17 წლის მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა, აღრიცხვას ექვემდებარებოდა 137 მოქალაქე, აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 124 მოქალაქე.

2019 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში აღრიცხვაზე იდგა 1070 წვევამდელი, დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა და ამ დროისთვის სამხედრო გადავადებით ისარგებლა 97 წვევამდელმა.

საშემოდგომო გაწვევას დაექვემდებარა 197 წვევამდელი. საშემოდგომო გაწვევის გეგმა-გრაფიკია 26 წვევამდელი. შ.ს.ს 5 წვევამდელი, თავდაცვის სამინისტროში 15 წვევამდელი. სასჯელაღსრულების სამინისტროში 6 წვევამდელი. ამ დროისთვის მიმდინარეობს გაწვევა და შ.ს.ს. ჩარიცხულია 9, თავდაცვაში 11, იუსტიციაში 6 წვევამდელი.

რეზერვში აღრიცხვაზე დგას 4477 რეზერვისტი.

